

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო -
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი N 23

ქალაქი ბათუმი

16 ივლისი, 2020 წელი (15 : 30 სთ)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი

სხდომას ესწრებოდნენ :

1. კახაბერ გუჩმაანიძე - EU – UNDP ინიციატივა COBERM – ექსპერტი;
2. მაყვალა კვირიკაძე - შპს „მაკო“-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენტა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. გურამ ფუტკარაძე - აჭარის ა/რ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი;
4. ნინო ინაიშვილი - საზოგადოება „ბათუმის“ დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი.
5. ლაშა ნაკაშიძე - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში - UNDP – GEF - პროექტის „მწვანე ქალაქები მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის“ ხელმძღვანელი;
6. მარიამ ბურკენაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი;
7. ნათია აფხაზავა - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი ;
8. თემურ კაკაბაძე - „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებები-სათვის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე ;

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი წინასწარ დაეგზავნათ ელ.ფოსტაზე, ასევე ინფორმაცია განთავსდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ - გვერდზე.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 11 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 8, არ ესწრებოდა 3 წევრი, რადგან არ იმყოფებოდნენ ქ.ბათუმში, მათ წინასწარ აცნობეს საბჭოს თავმჯდომარეს სხდომაზე ვერდასწრებისა და საპატიოდ ჩათვლის თაობაზე, რაც საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ცნობათ.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები : ედნარ ნატარიძე, ეთერ ლომაძე, ნუნუ ბახტაძე, დავით არძენაძე, მაგდა ჩოგაძე, რუსუდან ჟოჟაძე.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების მე-4 მუხლის მე 10 პუნქტის თანახმად საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია რადგან მასში სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი წევრი მონაწილეობდა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა და უძღვებოდა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - კახაბერ გუჩმაანიძე.

კახაბერ გუჩმაანიძემ განაცხადა, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო საბჭო 12 მარტის შემდგომ ოთხ თვიანი დაგვიანებით შეიკრიბა რაც უარყოფითად აისახა საბჭოს აქტიურობაზე.

კახაბერ გუჩმაანიძემ ასევე მიმართა საბჭოს წევრებს - „კოლეგებო, როგორც მოგეხსენებათ საბჭოს თარიღი ერთობლივი შეთანხმებით თითქმის ერთი კვირით ადრე ჩავნიშნეთ, რამოდენიმე დღით ადრე კი დადგენილი წესის თანახმად ინფორმაცია განთავსდა მერიის ოფიციალურ ვებ.გვერდზე და ალბათ ვერავინ წარმოვიდგენდით, რომ ქ.ბათუმის მოქმედი მერი დღეს, სხდომამდე რამოდენიმე საათით ადრე პირადად ჩემთვის არადამაჯერებელი მიზეზებით და ასე უპასუხისმგებლოდ დატოვებდა თანამდებობას, თუმცა რადგან სხდომა ჩანიშნულია და განსახილველი გვაქვს საბჭოს ინიციატივები და მათ შორის მერიიდან წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტების პირველადი სამუშაო ვერსიები გთავაზობთ დავიწყოთ სხდომა.“

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი :

დღის წესრიგი - # 23 (16 ივლისი - 2020 წ / 15 : 30 სთ)

საკითხი 1. „ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და ეთნიკური უმცირესობების ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის პოლიტიკის დოკუმენტის ” - სამუშაო ვერსიის განხილვა, შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიწოდება ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის.

(საფუძველი - ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის წერილობითი მომართვა N 25/9609 03/06/2020)

საკითხი 2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის განხილვა.

(საფუძველი - ქ. ბათუმის მერის წერილობითი მომართვა N 25/10250 11/06/2020)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სტრუქტურისა და საჭიროებების დოკუმენტის ” - პირველადი სამუშაო ვერსიის განხილვა, არსებობის შემთხვევაში ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიწოდება.

(საფუძველი - ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის წერილობითი მომართვა N 25/10883 18/06/2020)

საკითხი 4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთა სხვადასხვა ინიციატივებისა და წინადადებების განხილვა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს რათა განეხილათ დღის წესრიგით გათ - ვალისწინებული საკითხი.

საკითხი 1. „ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და ეთნიკური უმცირესობების ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის პოლიტიკის დოკუმენტის ” - სამუშაო ვერსიის განხილვა, შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიწოდება ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიესალმა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა სხდომაზე დასწრებისთვის და აღნიშნა წარმოდგენილი დოკუმენტის მნიშვნელობა.

საბჭომ მოისმინა მუნიციპალური პილიტიკის სამსახურის მიერ მომზადებული მოკლე ინფორმაცია წარმოდგენილი სამუშაო დოკუმენტის ირგვლივ, რიგმა წევრებმა დასვეს შეკითხვები რაზედაც მიიღეს კომპეტენტური პასუხები, გაიმართა მსჯელობა.

საბჭოს წევრმა ნინო ინაიშვილმა წერილობით წარმოადგინა თავისი შენიშვნები - უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და ეთნიკური უმცირესობების ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციის პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით (იხ. დანართი 1)

ჩატარდა ღია კენჭისყრა - საბჭომ წევრთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა და მოიწონა ზემოაღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსია.

საკითხი 2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის განხილვა.

საბჭომ სხდომაზე დამსწრე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისგან მიიღო მოკლე ინფორმაცია წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის ირგვლივ, რიგმა წევრებმა დასვეს შეკითხვები რაზედაც მიიღეს კომპეტენტური პასუხები, გაიმართა მსჯელობა.

საბჭოს წევრმა ნინო ინაიშვილმა წერილობით წარმოადგინა თავისი შენიშვნები - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტთან დაკავშირებით (იხ. დანართი 2)

ჩატარდა ღია კენჭისყრა - საბჭომ წევრთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა და მოიწონა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

საკითხი 3. „ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სტრუქტურისა და საჭიროებების დოკუმენტის ” - პირველადი სამუშაო ვერსიის განხილვა, არსებობის შემთხვევაში ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიწოდება.

საბჭომ სხდომაზე დამსწრე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისგან მიიღო მოკლე ინფორმაცია წარმოდგენილი დოკუმენტის პირველადი ვერსიის ირგვლივ, რიგმა წევრებმა დასვეს შეკითხვები რაზედაც მიიღეს კომპეტენტური პასუხები, გაიმართა მსჯელობა.

საბჭოს წევრმა ნინო ინაიშვილმა წერილობით წარმოადგინა თავისი შენიშვნები - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სტრუქტურისა და საჭიროებების დოკუმენტის პირველად ვარიანტთან დაკავშირებით (იხ. დანართი 3)

ჩატარდა ღია კენჭისყრა - საბჭომ წევრთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა და მოიწონა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სტრუქტურისა და საჭიროებების დოკუმენტის ” - პირველადი სამუშაო ვერსია

საკითხი 4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრთა სხვადასხვა ინიციატივებისა და წინადადებების განხილვა.

კახაბერ გუჩმაანიძემ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებს არაერთხელ ეთხოვათ არსებობის შემთხვევაში საკუთარი მოსაზრებების, რეკომენდაციისა და წინადადებების საბჭოს სხდომაზე წარმოდგენა შემდგომი განხილვისა და ქ. ბათუმის მერისთვის წარდგენის მიზნით და მიესალმება ამ კუთხით საბჭოს აქტიურობას.

კახაბერ გუჩმაანიძე - კოლეგებო საბჭოს ნაწილ წევრებს გვაქვს კონკრეტული მოსაზრებები და წინადადებები, ასევე რეკომენდაციები ქ. ბათუმის მერიის მიმართ, კერძოდ თქვენი ნებართვით წარმოგიდგინებ - ჩემს, თემურ კაკაბაძისა და მაცყალა კვირიკაძის ერთობლივად შემუშავებულ წინადადებებს რაც წერილობით მოვამზადებთ, გთხოვთ გულდასმით მოისმინოთ და არსებობის შემთხვევაში დააფიქსიროთ თქვენი შენიშვნები წარმოდგენილ წინადადებებთან დაკავშირებით.

ასევე მიგვაჩნია, რომ წინადადებები რომლებიც შევიმუშავეთ და გვინდა, რომ განსახილველად, ასევე კენჭისყრაზე წარმოვადგინოთ ქალაქისთვის საკმაოდ სენსიტიური და მნიშვნელოვანია.

1. „ქ. ბათუმის მერის მ/შ“

მრჩეველთა საბჭოს დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში გასაცნობათ და განსახილველად წარმოგიდგინებ საბჭოს -

წინადადებას:

ბათუმისთვის როგორც ტურისტულად მზარდი ქალაქისთვის მნიშვნელოვანია იერსახის შენარჩუნება რასაც ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის ბულვარის მიმდებარე ცენტრალურ ქუჩებზე (და არამხოლოდ ცენტრალურ) არსებული უსისტემო გარევაჭრობა და საზ. კვების ობიექტები, კერძოდ კი საფეხმავლო ბილიკზე დასაშვებზე მეტ მანძილზე გამოტანილი გასაყიდი პროდუქცია, დახლ-მაცივრები და სარესტორნო ინვენტარი, რაც დისკომფორტს უქმნის პანდემიის გამო ისედაც შემცირებულ ტურისტულ ნაკადს, ასევე შშმ პირებსა და ზოგადად მოსახლეობას. მივიჩნევთ, რომ შესაბამისი სამსახურების მიერ დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს მკაცრი ღონისძიებები უკანონობის აღკვეთის მიზნით.

საბჭო თავის მხრივ გამოთქვამს მზადყოფნას საკითხის მოგვარების საქმეში აქტიური ჩართულობის კუთხით.

გთხოვთ, შესაბამის სამსახურებთან ერთად განიხილოთ ზემოაღნიშნული წინადადება და კანონით დადგენილ ვადებში წერილობით გვაცნობოთ გასატარებელ (ანდა გატარებულ) ღონისძიებებზე.“

წარმოდგენილი წინადადების ირგვლივ გაიმართა მსჯელობა, დაისვა შეკითხვები.

ჩატარდა ღია კენჭისყრა საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წერილის პროექტში ჩამოყალიბებულ წინადადებას.

2. „ქ. ბათუმის მერის მ/შ“

მრჩეველთა საბჭოს დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში გასაცნობათ და განსახილველად წარმოგიდგინებ საბჭოს -

წინადადებას:

საბჭოს წევრებს ხშირად მომართვან ბათუმის ბულვარის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეები, რომელიც შეწუხებული არიან ბულვარში არსებული რიგი საზ.კვების ობიექტებიდან (რესტორნები) გამოსული დასაშვებზე მძლავრი ხმაურის (კონცერტი, მუსიკა), ასევე ფეიერვერკების უსისტემო გაშვებების გამო, რაც ხშირად საღამოდან დილამდე გრძელდება და საგრძნობ დისკომფორტს უქმნის ობიექტების სიახლოვეს არსებული დასახლებების მოსახლეობას. მივიჩნევთ, რომ შესაბამისი სამსახურების მიერ დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს მკაცრი ღონისძიებები დასაშვებზე მეტი ხმაურის აღკვეთის მიზნით.

საბჭო თავის მხრივ გამოთქვამს მზადყოფნას საკითხის მოგვარების საქმეში აქტიური ჩართულობის კუთხით.

გთხოვთ, შესაბამის სამსახურებთან ერთად განიხილოთ ზემოაღნიშნული წინადადება და კანონით დადგენილ ვადებში წერილობით გვაცნობოთ გასატარებელ და გატარებულ ღონისძიებებზე.“

წარმოდგენილი წინადადების ირგვლივ გაიმართა მსჯელობა, დაისვა შეკითხვები.

ჩატარდა ღია კენჭისყრა საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წერილის პროექტში ჩამოყალიბებულ წინადადებას.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ პირადად მასაც წერილობით აქვს შემუშავებული კონკრეტული წინადადებები იმ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე რაც ნარჩენების მართვისა და ეკოლოგიის კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევებად მიაჩნია.

კახაბერ გუჩმაანიძე - „კოლეგებო მინდა წარმოგიდგინოთ ჩემს მიერ შემუშავებული და წერილობით ჩამოყალიბებული წინადადებები, რაზედაც მოვისმე თქვენს მოსაზრებებს და მხარდაჭერის შემთხვევაში მოხარული ვიქნები თუ წერილი წარედგინება მერს.

3. „ქ. ბათუმის მერის მ/შ

საბჭოს დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში გასაცნობათ და განსახილველად წარმოგიდგენთ საბჭოს - წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ს :

საბჭოს წევრებს ხშირად მომართვან ქ. ბათუმის ადლიისა და აეროპორტის დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან განსაკუთრებით არასათანადო კლიმატური პირობების დროს გამომავალ მძაფრ სუნს უჩივიან.

მოგეხსენებათ ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მიერ 17 მილიონი ევროთი დაფინანსებული მაღალი დონის პროექტია და რეგიონში ეკოლოგიური თავლსაზრისით ანალოგი ძნელად თუ მოეძებნება, ამიტომ იქიდან გამომავალი მძაფრი სუნი ნეგატიურად აისახება პროექტის ხარსხსა და ტექნიკურ მახასიათებლებზე. ვფიქრობთ, რომ გამწმენდ ნაგებობაზე მოქმედ ჩამდინარე წყლების გაწმენდის სამსაფეხურიანი სისტემას რომელიც - პირველად მექანიკურ, ბიოლოგიურ (ნიტრიფიკაცია და ცხიმების, ცილების რედუცირება) და მეორად მექანიკურ ეტაპებს მოიცავს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული პრობლემები, კერძოთ ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებული ღონისძიებების არასათანადო შესრულებისა და ოპერირების კუთხით, რასთან დაკავშირებითაც გთხოვთ შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით საკითხის დეტალური შესწავლის უზრუნველყოფას, ხოლო საბჭო თავის მხრივ გამოთქვამს მზადყოფნას საკითხის მოგვარების საქმეში აქტიური ჩართულობის კუთხით, ასევე მოწვევის შემთხვევაში დაესწროს მონიტორინგის პროცესს.

გთხოვთ, შესაბამის სამსახურებთან ერთად განიხილოთ ზემოაღნიშნული წინადადება და კანონით დადგენილ ვადებში წერილობით გვაცნობოთ გასატარებელ ღონისძიებებზე.“

საბჭოს წევრებმა ხაზი გაუსვეს საკითხის აქტუალობას, განსაკუთრებით ტურისტული ქალაქისთვის, დაისვე შეკითხვები, გაიმართა მსჯელობაც.

ჩატარდა ღია კენჭისყრა საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წერილის პროექტში ჩამოყალიბებულ წინადადებას.

კახაბერ გუჩმაანიძე - „ასევე მინდა წარმოგიდგინოთ კიდევ ერთი ჩემს მიერ წერილობით შემუშავებული წინადადება, რომელიც ვფიქრობ საკმაოდ აქტუალურია, ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით, თანაც ამ საკითხზე საბჭოს ადრეც გვექონდა მსჯელობა და მერისთვის წერილობით წარდგენილი მოსაზრება“

4. „ქ.ბათუმის მერის მ/შ

საბჭოს დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში გასაცნობათ და განსახილველად განმეორებით (ილენტური წინადადებით საბჭომ მერს მიმართა 11.12.2018.) წარმოგიდგენთ საბჭოს წინადადებას :

საბჭო მიიჩნევს, რომ დასუფთავების გამართული სერვისის მიწოდება უმნიშვნელოვანესია განსაკუთრებით ისეთი ტურისტული და მზარდი ქალაქისთვის როგორც ბათუმია, მიუხედავად იმისა, რომ წლებია დასუფთავების მომსახურება ქალაქის მოსახლეობას გამართულად და მაღალი ინტენსივობით მიეწოდება ის დღემდე სუფსიდირებად სფეროს მიეკუთვნება თუმცა ისეთივე სერვისია როგორც - წყლითა და შუქით უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სფეროს გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად საბჭო რეკომენდაციას უწევს ქ.ბათუმის მერს და შემოდის წინადადებით, რომ მოხდეს დასუფთავების მოსაკრებლის ერთიან საბილინგო სისიტემაში ინტეგრაციის დაჩქარება და ამ კუთხით ღონისძიებების გატარება.

გთხოვთ, შესაბამის სამსახურებთან ერთად განიხილოთ ზემოაღნიშნული წინადადება და კანონით დადგენილ ვადებში წერილობით გვაცნობოთ გასატარებელ ღონისძიებებზე.“

წარმოდგენილი წინადადების ირგვლივ გაიმართა მსჯელობა, დაისვა შეკითხვები.

ჩატარდა ღია კენჭისყრა საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წერილის პროექტში ჩამოყალიბებულ წინადადებას.

საბჭოს წევრმა ნათია აფხაზავამ საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ გულდასმით მოესმინათ და განეხილათ მის და საბჭოს წევრ ლაშა ნაკაშიძის მიერ შემუშავებული საკმაოდ საინტერესო წინადადება.

„ქ.ბათუმის მერის მ/შ

მრჩეველთა საბჭოს დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში გასაცნობათ და განსახილველად წარმოგიდგენთ საბჭოს - წინადადებას :

ქალაქის წინაშე წლებია პრობლემად დგას საზოგადოებრივი სივრცეების შეზღუდვა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა აღნიშნული პროცესი ერას მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. რუსთაველის ქუჩიდან დუმბაძის და ბარათაშვილის ქუჩის გავლით ერას მოედანზე ინტენსიურად მოძრაობენ ავტომობილები და იწვევენ არარეგულირებულ მოძრაობას/პარკინგს. გარდა იმისა, რომ ამით აქვეითებენ საზოგადოებრივი სივრცის

მომხილველობას, საფრთხეს უქმნიან მოსეირნე ადამიანებს, მოთამაშე ბავშვებს, ხელს უშლიან ღია კაფეების საქმიანობას, ასევე აზიანებენ ფილებს და მოედნის ინფრასტრუქტურას. უფრო მეტიც ხშირია შემთხვევები, როცა ტურისტული ავტომობილების მუდმივ სადგომად გადააქციეს მოედანი.

მოგმართავთ წინადადებით, რომ განიხილოთ საავტომობილო ნაკადებისათვის რუსთაველის ქუჩიდან დუმბაძე / ბარათაშვილის ქუჩების - მემედ აბაშიძის გამზირამდე (ერას მოედანი) ჩაკეტვისა და მათი საფეხმავლო სივრცეებად გადაქცევის საკითხი. როგორც თქვენთვის ცნობილია, უმეტეს შემთხვევაში ბათუმის მსგავსი ტურისტული პოტენციალის მქონე ქალაქების ერთ-ერთ ყველაზე მომხილავ ასპექტს ქალაქის ცენტრში არსებული საფეხმავლო სივრცეები წარმოადგენენ. გარდა ამისა, მსგავსი სივრცეების მოწყობა განსაზღვრულია ბათუმის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგიითაც, რომელიც შემუშავდა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და დამტკიცებულ იქნა ქალაქ ბათუმის საკრებულოს მიერ 2018 წლის აპრილის თვეში.

საბჭო თავის მხრივ გამოთქვამს მზადყოფნას საკითხის მოგვარების საქმეში აქტიური ჩართულობის კუთხით.

გთხოვთ, შესაბამის სამსახურებთან ერთად გულდასმით განიხილოთ ზემოაღნიშნული წინადადება და კანონით დადგენილ ვადებში წერილობით გვაცნობოთ გასატარებელ ღონისძიებებზე.“

საბჭოს წევრებმა დასვეს შეკითხვები, გაიმართა მსჯელობა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წერილის პროექტში ჩამოყალიბებულ წინადადებას.

კახაბერ გუჩმაანიძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს და ჟურნალისტებს სხდომაზე დასწრების გამო, რის შემდგომაც სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

კახაბერ გუჩმაანიძე

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი

მარიამ ბურკენაძე

ქ. ბურკენაძე

დანართი 1.

ინტეგრაციის პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებული შენიშვნები

ინტეგრაციის პოლიტიკის დოკუმენტის მომზადების დროს სასურველია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი პირობები:

1. სტრატეგიული დოკუმენტი იქმნება გრძელვადიანი პერსპექტივისთვის, შესაბამისად მასში მოკლევადიანი ფაქტორები არ უნდა იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის ღონისძიებებისა და სამოქმედო ეტაპების დაგეგმვისას (მაგალითად, რომელიმე ეროვნების სტუდენტების ერთჯერადი ნაკადი, თუ არ არსებობს რომელიმე ქვეყანასთან და უნივერსიტეტთან ხანგრძლივი თანამშრომლობის დოკუმენტი).
2. დოკუმენტის შემუშავება უნდა ეყრდნობოდეს რეგისტრირებული უცხოელი მოქალაქეების საჭიროებებისა და შესაძლებლობების კვლევას, კერძოდ შესაძლებელია რომელიმე დიასპორას ჰქონდეს რაიმე სპეციფიკური საჭიროება ან პირიქით, ჰქონდეთ შესაძლებლობა ქალაქის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ. აუცილებელია ცალკეული ჯგუფების/დიასპორების საჭიროებებისა და შესაძლებლობების კვლევა.
3. საჭიროა დოკუმენტში ასახული მონაცემების განახლება-დაზუსტება, კერძოდ დოკუმენტში ბათუმის მოსახლეობის მონაცემები წარმოდგენილია 2018 წლის დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო სხვადასხვა მოქალაქეების ზრდის მონაცემები წარმოდგენილია წყაროს/დოკუმენტის ან აღმრიცხავი ორგანიზაციის მითითების გარეშე.
4. პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების ნაწილი არის დაუზუსტებელი და არ არის აღწერილი ამ რისკების დაძლევის ან პრევენციის მექანიზმები.
5. დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული ცალკეული პროგრამების განხორციელების შემთხვევაში ვისთან იქნება თანამშრომლობა. პროგრამის აღწერილობითი ნაწილი იძლევა შთაბეჭდილებას, რომ მხოლოდ მუნიციპალიტეტის ფინანსური და ადამიანური რესურსებით ხდება ყველა ღონისძიების განხორციელება. სასურველია თანამშრომლობის ნაწილში იყოს მოცემული სავარაუდო ორგანიზაციები, რომელთაც მსგავს საკითხებში აქვთ გამოცდილება და შეუძლიათ პროგრამის არამხოლოდ კონცეპტუალიზაციის ნაწილში, არამედ უშუალოდ განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ.

დანართი 2.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021–2024 წლების საშუალოვადიან პრიორიტეტებს შორის დასახელებულია: 5.1.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა; პროგრამის გაცხადებული მიზანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა. სამოქმედო გეგმა – კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია;

2020 წელს ამ ქვეპროგრამისთვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 572.9 ათასი ლარი, რაც რეალურად ერთი კონკრეტული ძეგლის, კერძოდ, დემეტრე თავდადებულის #35–ის ნაგებობის რეაბილიტაციის ხარჯებია.

პროგრამის: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ ქალაქისათვის საკუთარი ისტორიული და კულტურული წარსულის დაცვა-შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია, რომ კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა, რომ ბათუმისათვის, როგორც ტურისტული ქალაქის განვითარებისთვის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აქედან

გამომდინარე, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გაგრძელდება აღნიშნული პროგრამის განხორციელება.

მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებად მიიჩნევს „ადგილობრივი მნიშვნელობის“ (ასეთ კატეგორიას საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არ იცნობს) კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვას, რეკონსტრუქციას და რეაბილიტაციას. ბათუმის მერიას არ გააჩნია ურბანული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზა და ეყრდნობა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ძეგლების შესახებ (ბათუმში 277 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია). დოკუმენტის მიხედვით, ძეგლების უმეტესობა ავარიულ მდგომარეობაშია და ესაჭიროება რეაბილიტაცია. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია გამოხატავს მზადყოფნას დააფინანსოს და რეაბილიტაცია ჩაუტაროს სააგენტოსთან ერთად შერჩეულ, ქ. ბათუმში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას არა აქვს გაცნობიერებული ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის განადგურების რეალური საფრთხე და ის, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნება-დაცვა ისტორიულად ჩამოყალიბებული ურბანული კონტექსტის გარეშე, თუნდაც ერთი-ორი შენობის რეაბილიტაციით, ვერ მიიღწევა. იმისათვის, რომ პროგრამა წარმატებული იყოს, საჭიროა ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ნების გამოვლენა ურბანული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის შესაქმნელად.

კულტურული მემკვიდრეობის დარგის საუკუნოვანი გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბდა **მემკვიდრეობის ინტეგრირებული მართვის პრინციპი**, რომლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ **მემკვიდრეობის რესურსების, როგორც საჭიროებანი, ისე პოტენციალი, ინტეგრირებული იქნება სხვა დარგობრივ სტრატეგიულ და განვითარების გეგმებსა და კონცეფციებში**. ამის მისაღწევად საჭიროა მკაფიო, გამართული საკანონმდებლო (კანონქვემდებარე) გარემო, ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ქსელი, სადაც გარკვეულია ვინ, სად და როდის მონაწილეობს ამ ციკლში¹, რომლის კოორდინაციაზეც, როგორც წესი, კონკრეტული ობიექტის/ძეგლის/ტერიტორიული მემკვიდრეობის **ძეგლის მართვის ორგანო** ზრუნავს.

საზოგადოება *ბათუმის* მიერ 2018–2019 წლებში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით განხორციელდა პროექტი *ქალაქ ბათუმის ურბანული განვითარების ხელშეწყობის პროექტი*, რომლის შედეგები გამოქვეყნდა ნაშრომის „ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის მართვის სისტემური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“ (ბათუმი, 2019), სახით. მასში თავმოყრილია ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით არსებული ვითარების ანალიზი მმართველობით, ინსტიტუციურ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში, ასევე, მოცემულია რეკომენდაციები იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი მხარდაჭერილი იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მასთან გაფორმებული მემორანდუმით, მერიის პრიორიტეტების დოკუმენტში არ არის ასახული პროექტის კვლევის შედეგები და რეკომენდაციები.

¹ კულტურული მემკვიდრეობის მართვის სისტემა ნიშნავს ისეთ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, ინსტიტუციურ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის რესურსების დაცვისა და განვითარების ციკლს: დაგეგმარება, შესრულება, შეფასება, შედეგი. ამ ციკლის ყოველ ეტაპზე ხდება მემკვიდრეობის დაცვის საბაზისო პრინციპების (იდენტიფიკაცია /ინვენტარიზაცია/ფიქსაცია-დოკუმენტირება; კვლევა-ანალიზი; დოკუმენტაციის/ინფორმაციის მართვა; მონიტორინგი/ანალიზი) დაცვა.

პრობლემა:

ბათუმის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებისა და განადგურების საფრთხე რეალურია, რაც ძირითადად ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის მართვის სისტემის არაეფექტურობით აიხსნება. ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის ფასეულობანი არ არის მკაფიო და ერთნაირი ყველა ჩართული და დაინტერესებული მხარისთვის. ამას მოწმობს ადგილობრივი ხელისუფლების მერყევი პოზიცია და მყიფე პოლიტიკური ნება.

წლების განმავლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ძეგლთადაცვითი ღონისძიებებისა თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს მიერ აღიარებული გაეროსა და ევროპის საბჭოს კონვენციების მიუხედავად, ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის მართვის არსებული სისტემა არ შეესაბამება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო პრინციპებსა და სახელმძღვანელო რეკომენდაციებს.

ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების კუთხით არსებული პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები კომპლექსურია და უკავშირდება ძირითადად, როგორც ურბანული მემკვიდრეობის მართვის მარეგულირებელი გარემოს, ისე ადმინისტრაციული და ინსტიტუციური ქსელის არაეფექტურობას; მართვის არაჯანსაღ პრაქტიკას; არსებული სისტემის ძირეული გაუმჯობესებისთვის საკმარისი საზოგადოებრივი კონტროლისა და პოლიტიკური ნების არარსებობას.

შესაბამისად, ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის მართვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ურბანული მემკვიდრეობის ადეკვატურ დაცვასა და განვითარებას, უფრო მეტიც, სტატუს-კვოს შენარჩუნების შემთხვევაში, რეალური სისტემური ცვლილებების გატარების გარეშე, ბათუმის ისტორიული ნაწილისთვის საზიანო გადაწყვეტილებების მიღების რისკი კვლავ მაღალი რჩება.

და ეს მაშინ, როდესაც, ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის ეფექტური მართვის სისტემის განვითარების რეალური პერსპექტივები არსებობს, თუ გავითვალისწინებთ მთელი რიგი მარეგულირებელი ინსტრუმენტების არსებობას, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციების პოტენციალს, ადგილობრივი თემისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პოზიტიურ გამოცდილებასა და შესაძლებლობებს.

2007 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით ბათუმისთვის დამუშავდა ისტორიული ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა.² 2015 წელს ჩატარდა ბათუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეინვენტარიზაცია.³ 2018 წელს მომზადდა და ცენტრალურ ხელისუფლებას დასამტკიცებლად გადაეცა საპროექტო დოკუმენტაცია ისტორიული განაშენიანებისა და განაშენიანების რეგულირების დაცვის ზონების დასამტკიცებლად⁴. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, რომელიც ბათუმს

² “მუხლი 42.3. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა არის მრავალდისციპლინური მიდგომის საფუძველზე შემუშავებული სპეციალური კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათში არსებული ძეგლების, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ამსახველ ინფორმაციულ და ანალიტიკურ მასალას და შეიცავს რეკომენდაციებს მათი დაცვისათვის აუცილებელი ქალაქმშენებლობითი და გეგმარებითი რეგლამენტაციის შესახებ.”

³ ამ დოკუმენტით ბათუმში 224 უძრავი ძეგლია; 42 რეკომენდირებულია მისანიჭებლად და 13 სტატუსის მისახსენებლად.

⁴ ხსენებული დოკუმენტის მომზადება დაიწყო იმ დათქმით და იმედით, რომ ბათუმის მერიის ეს უკანასკნელი ნაბიჯი, გარკვეულ გარანტიებს იძლეოდა, რომ მათ გააჩნიათ ნება წესრიგი დამყარდეს ურბანული მემკვიდრეობის მართვის სფეროში. მოგვიანებით, 2018 წლის ოქტომბერში ცნობილი გახდა, რომ მერიამ თვითნებურად შეცვალა ბათუმის ისტორიული ნაწილის დაცვის ზონები და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ამოიღო რამდენიმე არეალი, სადაც მსხვილმასშტაბიანი მშენებლობები იგეგმებოდა. სწორედ სახეცვლილი საპროექტო დოკუმენტაცია

გააჩნია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონის შესაბამისად, წარმოადგენს ოფიციალურ კვლევით ბაზას ისტორიული ურბანული ძეგლის შემდგომი დაცვა/განვითარებისთვის. ეს დოკუმენტი შეიქმნა იმისთვის, რომ იგი გამოყენებული იქნას ურბანული მემკვიდრეობის მართვისთვის და მას შემდგომში დაეყრდნოს ურბანული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვითი ზონის განაშენიანების რეგულირების გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმს გააჩნია ისტორიული ნაწილის სწორად დაგეგმარებისთვის საჭირო მარეგულირებელი ინსტრუმენტები ზემოაღნიშნული „ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის“ სახით, არ მოხდა მისი ინტეგრირება ქალაქ ბათუმის ქალაქგეგმარებით რეგლამენტებში, როგორცაა „ქ. ბათუმის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების წესები“ და „მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში“ უფლებრივი ზონირების დოკუმენტების ჩათვლით, რაც მოქმედებდა 2009-2019 წლებში. იგივე შეცდომა არ უნდა განმეორდეს ბათუმის გენ-გეგმის შემუშავების ამჟამად მიმდინარე პროცესში.

არ არსებობს ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის მართვის ორგანო, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა პროცესებს. სისტემაში თეორიულადაც არ ფიგურირებს მემკვიდრეობის დაცვის ფუნდამენტური პრინციპის, ყოველდღიური მოვლა-პატრონობის ვალდებულება, კვლევა და შეფასება. ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის მართვის სისტემა მთლიანად პროცედურულ საკითხებზეა დაფუძნებული და დაცლილია შინაარსისგან. ოფიციალური სტრუქტურებიდან მხოლოდ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს აქვს დებულებით განსაზღვრული მართვის პროცესის ციკლში ჩართულობა. ყველა დანარჩენი ინსტიტუცია (მათ შორის ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური) მხოლოდ ნებართვების გაცემის პროცესში მონაწილეობს, რომელიც დარგობრივი მარეგულირებელი ბაზის იგნორირებით, სპეციფიური რეგლამენტების არ არსებობის ფონზე, არა თუ მემკვიდრეობის დაცვას ემსახურება, არამედ საპირისპირო შედეგს იძლევა. ამ სისტემას შეიძლება ვუწოდოთ ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის ნებართვების გაცემის სისტემა, რომელიც პროფესიული, დარგობრივი ექსპერტიზის გარეშე ფუნქციონირებს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარების და ურბანული პოლიტიკის სამსახურში, ახალი დებულების თანახმად (2018 წელი) იფუნქციონირებს “ისტორიული განაშენიანების ზონის განვითარების განყოფილება”, რომელსაც ურბანული მემკვიდრეობის მართვის ფართო და მნიშვნელოვანი უფლებამოსილებანი უნდა გააჩნდეს, დაწყებული საინფორმაციო ბაზის შექმნიდან, დაცვისა და განვითარების დაგეგმვით და ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის მართვით დამთავრებული, რაც სერიოზული და მნიშვნელოვანი განაცხადია, ვინაიდან ატარებს ისტორიული ნაწილის მართვის ადმინისტრაციული ერთეულის ნიშნებს. სამწუხაროდ, რეალურად დღემდე, ამ იდეის განხორციელება არ დაწყებულა, თანამშრომელთა დაკომპლექტებაც კი არ მომხდარა და შესაბამისად არც აქტივობა არ მიმდინარეობს.

რეკომენდაციები:

1. აუცილებელია ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განაახლოს მუშაობა ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების (ისტორიული განაშენიანების დაცვის, განაშენიანების რეგულირებისა და ლანდშაფტის დაცვის ზონები) საზღვრების დამტკიცების მიზნით; აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის ტენდერის გამოცხადების მიზნით მიმდინარე პროცესის ფონზე.

გადაეზავნა კულტურის სამინისტროს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რამდენად არათამიმდევრული და მყიდვე ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკური ნება ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის დაცვის საკითხში.

2. აუცილებელია მოხდეს ბათუმის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ინტეგრირება ქ. ბათუმის მოქმედ ურბანულ მარეგულირებელ დოკუმენტებში და იგი გათვალისწინებული იქნას ისტორიულ ბათუმში სამშენებლო ნებართვების გაცემის პროცესში.

3. საჭიროა, ისტორიული ბათუმის დაცვით ზონებში სამშენებლო ნებართვების გაცემის სისტემაში და პროცედურებში ჩართულ საბჭოებს და კომისიებს ჰქონდეთ მკაფიოდ გაწერილი დებულება, სადაც მითითებული იქნება, რომელ დარგობრივ დოკუმენტებს და კულტურული მემკვიდრეობის კანონმდებლობით გაწერილ დებულებებს უნდა ეყრდნობოდეს საბჭოს გადაწყვეტილებები. საბჭოს წევრები ვალდებული არიან გაეცნონ ყველა შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტს, კულტურული მემკვიდრეობის კანონის შესაბამის დებულებებს, განმარტებებს და გაითვალისწინონ ისინი გადაწყვეტილების მიღების დროს.

4. აუცილებელია, უწყებათაშორისი საბჭოები თუ კომისიები, რომელთაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოები ჰქვიათ, შეიცვალოს რეალურად დარგობრივ, პროფესიულ საბჭოებად, როგორც ეს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არის დადგენილი. გადაუდებელია პროფესიული ექსპერტიზის გაძლიერება/შემოტანა არსებულ პროცესში.

5. ზოგადი დამცავი ზონების დამტკიცების შემდეგ საჭიროა შემუშავდეს ამ ზონების ქალაქგეგმარებითი დეტალური რეგლამენტი და ისტორიული ნაგებობების რეაბილიტაციის სახელმძღვანელო პრინციპები. ფაქტია, რომ მოქმედი ზოგადი რეჟიმები (რომელიც კანონშია გაწერილი) არ მუშაობს და ჩინოვნიკებზე აწყობილ სისტემას (რაც უცბად ვერ გამოსწორდება) მეტი დეტალიზაცია სჭირდება.

6. უაღრესად მნიშვნელოვანია მერიაში გაჩნდეს გამართული, მაღალკვალიფიციური ერთეული, რომელიც სააგენტოსთან მკაფიო უფლებამოსილების გამოიჯნით, მასთან მჭიდრო თანამშრომლობით იმუშაებს და როგორც მართვის ორგანო კოორდინაციას გაუწევს ბათუმის მემკვიდრეობის მართვის პროცესს.

7. საჭიროა, დამუშავდეს და განხორციელდეს დარგობრივი კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები, როგორც აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ექსპერტებისთვის, ჩინოვნიკებისთვის, ისე მერიაში ახლადშექმნილი „ისტორიული განაშენიანების ზონის განვითარების განყოფილების“ მომავალი თანამშრომლებისთვის. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორი შტოს რესურსების გაძლიერებას და მათ თანამშრომლობას.

8. სასურველია, მოხდეს ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის რესურსების და მათი დაცვის მეთოდოლოგიის კვლევითი ბაზის გაანალიზება და საჭიროებათა გამოვლენა, რათა მოხდეს მათი ინტეგრირება ბათუმის სამეცნიერო კერების კვლევით გეგმებში. მეორე მხრივ, კვლევით ცენტრებში არსებული ანალიტიკური მასალა უნდა გამოიყენოს ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის მართვის სისტემაში.

9. ურბანული მემკვიდრეობის საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ერთადერთი წარმატებული გზა ინტეგრირებული კონსერვაციის მისაღწევად არის ადგილობრივი თემის, საზოგადოების და ყველა დაინტერესებული ჯგუფის აქტიური ჩართულობა მემკვიდრეობის მართვის პროცესში ყველა ეტაპზე. 2008 წელს საქართველო მიუერთდა ევროპის საბჭოს საზოგადოებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობათა შესახებ ჩარჩო-კონვენციას. მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო სექტორის გააქტიურება და ინტერესი ხელისუფლებამ/თვითმმართველობამ გამოიყენოს მემკვიდრეობის სექტორის პოზიციების გასამყარებლად პოლიტიკურ დონეზე და ითანამშრომლოს სამოქალაქო სექტორთან.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული და ფინანსური რესურსები არასაკმარისია, სწორი მართვის სისტემის შემთხვევაში შესაძლებელია ამ რესურსების უფრო ეფექტურად ამოქმედება.

9. სასურველია, ისტორიულ ბათუმში დაიგეგმოს და განხორციელდეს, ერთი მიკრო-კვარტლის ადგილობრივ თემზე დაფუძნებული რეზილიტაციის საცდელი/საპილოტე პროექტი. ასეთი პროექტი ხელს შეუწყობს, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ექსპერტებს, აქტივისტებს ისე მოსახლეობას/თემს უფრო მკაფიოდ დაინახონ თანამონაწილეობრივი პროექტის უპირატესობა და შედეგიანობა. მნიშვნელოვანია პროექტში *ისტორიული ურბანული ლანდშაფტების (HUL)* მიდგომის ადგილობრივ რეალობასთან ადაპტირება და გამოცდა. *HUL-ის 6 მნიშვნელოვანი ნაბიჯია:* რესურსების „რუკის შედგენა“; თანამონაწილეობა დაგეგმვაში და კონსულტაციები ფასეულობებთან დაკავშირებით; მოწყვლადობის შეფასება; მემკვიდრეობის ფასეულობათა ინტეგრაცია ფართო კონტექსტში; კონსერვაციისა და განვითარებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრა; საპარტნიორო და მართვის ქსელების შექმნა; ასეთი პროექტი სისტემის ხარვეზების დეტალებს გამოავლენს და გადავიღებს მომავალში ამ სისტემის დახვეწას.

10. ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის მართვის გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებათა სწორად დაგეგმვისა და განხორციელებისთვის უნდა შეიქმნას კონსენსუსზე დაფუძნებული, რეალისტური ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის **მართვის გეგმა**, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი რას ვიცავთ, რისი განვითარება გვინდა, ვინ, როდის, როგორ, რა ფინანსური რესურსებით მონაწილეობს და რომელი საპილოტე პროექტებით. როგორც წესი, ასეთი გეგმები რამდენიმე ეტაპისგან შედგება (მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმები), რომელიც ეტაპობრივად მიდის „იდეალისტური“ მართვის სისტემისკენ.

მემკვიდრეობის დაცვის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

კულტურული მემკვიდრეობა თავისი მრავალგვარი ფასეულობებით ამოუწურავი რესურსია საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის. მემკვიდრეობის სოციალური და ეკონომიკური პოტენციალი ქვეყნის წარმატებისა და საზოგადოების ჰარმონიული განვითარების საფუძველია. ამის მისაღწევად საჭიროა მემკვიდრეობის პოტენციალი სრულად იყოს ინტეგრირებული ქვეყნის განვითარების ეროვნულ პროგრამებში.

მემკვიდრეობის დაცვის ისტორია და საფუძვლები ისეთ უმთავრეს ფასეულობებს უკავშირდება, როგორცაა: კულტურული, ისტორიული, ესთეტიკური, ეროვნული თვითშეგნების განმსაზღვრელი და საგანმანათლებლო. მე-20 საუკუნეში მოხდა მემკვიდრეობის სოციალურ ფასეულობათა მრავალფეროვნების, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის გააზრება და აღიარება. მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკა, როგორც განვითარების თეორია, დასავლეთის ქვეყნებში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს და 80-იან წლებში განვითარების სრულ ფაზაში შედის. ამ მოძრაობის ავტორებმა, ძირითადად პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მთელი მიმდინარეობა შექმნეს დარგში. ჩამოყალიბდა სისტემა ეკონომიკური არგუმენტებისა, რომლითაც აღიჭურვნენ მემკვიდრეობის დაცვის პროფესიონალები და აქტივისტები გადაწყვეტილების მიმღებთა წრეში იმ გაბატონებულ აზრზე გავლენის მოსახდენად, რომლის მიხედვით, მემკვიდრეობის დაცვა ფუფუნების საგანია და მისი ადგილი მხოლოდ ძლიერ ეკონომიკურ გარემოშია.

მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკის წარმატებული საერთაშორისო მაგალითები მიუთითებს, რომ იგი ხელს უწყობს ახალი ბიზნესის ფორმირებას, ტურიზმის სტიმულირებას, უძრავი ქონების ფასის გაზრდას, ცხოვრების ხარისხის ამაღლებას, სიღარიბის დაძლევას, საზოგადოების თვითრწმენას.

მემკვიდრეობის ეკონომიკას, გარდა პირდაპირი შედეგისა, ახასიათებს განვითარების პროცესის უწყვეტობა, მისი ირიბი ეფექტი კი მზარდია. მემკვიდრეობის წარმატებული

მაგალითები აჩვენებს, რომ მემკვიდრეობის ეკონომიკა, როგორც საჯარო პოლიტიკა, ყველაზე მოგებიანი პოლიტიკაა რეგიონული თუ ადგილობრივი განვითარებისთვის.

უკვე 1970-იანი წლებიდან გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და მსოფლიო ბანკის მიერ, მკაცრად ეკონომიკურ საფუძველზე, დაიწყო მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ინვესტირების დასაბუთება, ხოლო უკვე 1980-იან წლებში ხმარებაში აქტიურად გაჩნდა ტერმინი „მემკვიდრეობის ინდუსტრია“, რომელიც მზარდი ტურიზმის ინდუსტრიის კვალდაკვალ აღმოცენდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების შექმნის ურთულესი ამოცანის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მემკვიდრეობის დაცვის სოციალური ფასეულობანი:

- o სოციალური ერთობის თუ თანხმობის მიღწევის საშუალება;
- o ინტერკულტურული დიალოგის კატალიზატორი;
- o ადგილობრივი, რეგიონული იდენტობის შემქმნელი;
- o ცხოვრების ხარისხის ზრდის საშუალება.

აუცილებელია, შესწავლილ იქნას აჭარის (კერძოდ, ბათუმის) ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური პოტენციალი – გამოვლინდეს და ჩამოყალიბდეს კონკრეტული ეკონომიკური არგუმენტები. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი მემკვიდრეობის რესურსის სრულყოფილი ადაპტაცია და შესაბამისად დაცვა. საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ლიტერატურა:

1. ბათუმის ურბანული მემკვიდრეობის მართვის სისტემური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ბათუმი, 2019.
2. გზა მომავლისაკენ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა. თბილისი, 2014.

დანართი 3

მოსახლეობის საჭიროებების ეკონომიკურ ნაწილთან დაკავშირებული შენიშვნები:

– შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა დასაკმაყოფილებელია და არსებული დეფიციტური მიმართულებების შესავსებად აქტიურად უნდა იმუშაონ უმაღლესმა და პროფესიულმა სასწავლებლებმა.

ბათუმის მერიამ შესაძლოა მოახდინოს მუნიციპალიტეტის ფარგლებში საჭირო პროფესიების კვლევა, მინიმუმ მოახდინოს მის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში (შპს-ები, დეპარტამენტები, აიპები, და ა.შ.) საჭირო კადრების და საკადრო დეფიციტის მქონე სეგმენტების გამოკვეთა და შესაბამის პროფესიებზე კონცენტრირების რეკომენდაციით მიმართოს უმაღლეს სასწავლებლებს. მერიას ასევე შეუძლია წახალისოს სტიპენდიითა და ფასიანი სტაჟირების შეთავაზებით კონკრეტული სპეციალობების სტუდენტები, ასევე შესთავაზოს უმაღლეს სასწავლებელს მისთვის საჭირო სპეციალობების წარმატებული სტუდენტების სწავლის ნაწილობრივი დაფინანსება. საჭიროა კონკრეტული სპეციალობების სამოტივაციო სისტემის დანერგვა.

– აუცილებელია ბიზნეს სექტორში დასაქმებული პირების მართვის უნარების განვითარება, რათა მათი ბიზნესების სიცოცხლისუნარიანობა არ იყოს ხანმოკლე.

მერიას შეუძლია დააფინანსოს კვლევა, კერძოდ მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული ბიზნეს მენეჯერების უნარების შეფასებისა და მათი გადამზადების მიმართულებების

საჭიროებების შესახებ. მერიის მხრიდან ბიზნეს სექტორში დასაქმებული პირების მართვის უნარების განვითარებაზე საჯარო ფინანსების დახარჯვა გაუმართლებელია, მით უფრო, რომ გაურკვეველია რა შედეგებს მოიტანს ეს გადამზადება.

რაც შეეხება ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობას, ეს პირდაპირ არ არის დამოკიდებული მართვის უნარებზე, ამ მიმართულებით საჭიროა უფრო კომპლექსური კვლევა და ღონისძიებების შემუშავება. ნებისმიერი ხარჯი ამ მიმართულებით უნდა ემყარებოდეს კვლევის შედეგებს.

– აუცილებელია ახალი კადრებისათვის როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ცოდნის მიწოდება.




ვინ იგულისხმება ახალ კადრებში? რომელი მიმართულებით გადამზადდებაზეა საუბარი და რატომ?

ახალდაფუძნებული ბიზნესების დიდი ნაწილის ლიკვიდაციის მიზეზის დასადგენად საჭიროა კომპლექსური კვლევა, რომლის განხორციელება შეუძლია ამ მიმართულების სპეციალისტებისგან დაკომპლექტებულ გუნდს. თუმცა გაურკვეველი და ზოგადია რა მოცულობის ბიუჯეტით აპირებს მერია ამ მიმართულების ფინანსირებას? ასევე რა იძლევა ამ ხარჯების მართებულობის საფუძველს? არსებობს რაიმე კვლევა? არსებობს მსგავსი პრეცედენტები სხვა მუნიციპალიტეტებში? თუ არ არის პრეცედენტები, რომელიც ემყარება კვლევას, მაშინ საჭიროა ამ საკითხის ფუნდამენტური დამუშავება.

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

16 ივლისი 2020 წ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
 ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
 (მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)






სარეგისტრაციო ფურცელი
 (მრჩეველთა საბჭოს წევრები)


#	Name სახელი, გვარი	პოზიცია	Signature ხელმოწერა
1.	კახაბერ გუჩმაანიძე	თავმჯდომარე	
2.	თამაზ თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3.	მარიამ ბურკენაძე	მდივანი	ქ. ბურკენაძე
4.	მაყვალა კვიციანიძე	წევრი	ქ. კვიციანიძე
5.	ნინო ინაიშვილი	წევრი	ნ. ინაიშვილი
6.	თამარ ხუხუნიანიძე	წევრი	
7.	ნათია აფხაზავა	წევრი	
8.	ზურაბ ჩიხლაძე	წევრი	
9.	გურამ ფუტყარაძე	წევრი	გ. ფუტყარაძე
10.	ლამა ნაკაშიძე	წევრი	
11.	თემურ კაკაბაძე	წევრი	თ. კაკაბაძე

ქ.ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

16 ივლისი 2020 წ. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
 ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ოთახი
 (მის: ლუკა ასათიანის ქ. #25)

სარეგისტრაციო ფურცელი
 (სხდომაზე დამსწრე საბჭოს არაწევრი პირები)

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ-ფოსტა	Signature ხელმოწერა
1.	დავით ახიძე	ქ. ბათუმი მერია	591 98 937 6 david.ardzenadze@batumi.ge	
2.	ნონო ხეცია	ქ. ბათუმი მერია	597 407 420 nubakhtadze@yehoadi	
3.	მაია ჩოგაძე	ქ. ბათუმი მერია	margda.chogadze1995@gmail.com	
4.	ეთა ლომაძე	ქ. ბათუმი მერია	577 201170 eta.lomadze@gmail.com	
5.	ირინე უგუშვი	ქ. ბათუმი მერია	577 080992 irzhzhadze@gmail.com	

#	Name სახელი, გვარი	Institution ორგანიზაცია	Contact information/E-mail საკონტაქტო ინფორმაცია/ელ-ფოსტა	Signature ხელმოწერა
6.	ერსხ ნაგუნიძე	ძ. შარვაშიძის ჭიკა	e.nataridze@gmail.com	
7.				
8.				
9.				
10.				
11.				
12.				
13.				
14.				